პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 დეკემბერი, კვირა, 1986 წ.
№ 234 (9395) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ბოლნისის „მადნეული“ — საქართველოს თასის მფლობელი ფეხბურთში!

გუშინ თბილისში გაიმართა საქართველოს თასის ფინალური მატჩი ფეხბურთში.

ერთმანეთს შეხვდნენ „მადნეული“ (ბოლნისი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ).

თამაში საუკეთესოდ ჩაატარეს ბოლნისელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0 და მოიპოვეს საპატიო პრიზი.

სურათზე: 1986 წლის საქართველოს თასის მფლობელი ფეხბურთში ბოლნისის „მადნეულის“ კოლექტივი. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

გულთბილი შეხვედრა მოსკოვში

გუშინწინ, დილით, მოსკოვის სპორტულმა საზოგადოებამ შერემეტიევოს აეროპორტში გულთბილი შეხვედრა მოუწყო ქალთა XII და ვაჟთა XXVII საჭადრაკო ოლიმპიადებში გამარჯვებულ საბჭოთა კავშირის დიდოსტატებს, რომლებიც დიუბაიდან, ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქიდან, მოსკოვში ჩამოფრინდნენ აბუ-დაბის, ელ-კუვეიტისა და ნიქოზიის გავლით.

ჟურნალისტებთან საუბარში გარი კასპაროვმა და ნონა გაფრინდაშვილმა თქვეს, რომ ოლიმპიადა უჩვეულო პირობებში მიმდინარეობდა და ჩვენს მოჭადრაკეებს სიძნელეების დაძლევაში ხელი შეუწყო დელეგაციის წევრთა ერთსულოვნებამ, მეგობრულმა ურთიერთდამოკიდებულებამ.

სსრ კავშირის სპორტსაბჭომის ჭადრაკის სამმართველოს უფროსმა, ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტმა, დიდოსტატმა ნიკოლოზ კროგიუსმა და საბჭოთა კავშირის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ ალექსანდრე ჩიკვაიძემ აღნიშნეს, რომ ჩვენმა მოჭადრაკეებმა დიდი მუყაითობა გამოიჩინეს, თავდადებით, შეუპოვრად იბრძოლეს მიზნის მისაღწევად. „ბედნიერი ვართ, რომ გავახარეთ ჩვენი ქვეყნის მამა-პაპათა თამაშის გულშემატკივრები“, — თქვა ფედერაციის თავმჯდომარემ.

იმავე დღეს გამარჯვებული მოჭადრაკეები მიიღო და წარმატება მოუოლოცა სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარემ მარატ გრამოვმა.

დღეს, 7 დეკემბერს, რეიხით 923 თბილისში ჩამოფრინდებიან ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონები — მაია ჩიბურდანიძე, ელენა ახშილოვსკაია, ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია.



სარბიელი უხმობს ფალავნებს

აღორძინდა კიდევ ერთი შესანიშნავი ტრადიცია: საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის სპორტსახკომისა და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს თაოსნობით თბილისის სა-

იხ. მე-4 გვ.

ელვა-ინფორმაცია

გუშინ სპორტის სასახლეში დამთავრდა რესპუბლიკის ჩემპიონატი (ცალკეული საგნებით) და თასხს (მრავალშიდი) 1986 წლის გათამაშება მხატვრულ ტანვარჯიშში. რესპუბლიკის თასი მოიპოვა თინათინ ნადირაშვილმა. მეორე ადგილზე გავიდა ელისო ბედოშვილი, ხოლო მესამეზე ნატო ლეშკაშელი. დიდ წარმატებას მიაღწია ნადირაშვილმა აგრეთვე ცალკეული საგნებით ახპარეზობისას, სადაც **ყველა პირველი ადგილი დაიხაკუთრა.**

უმაღლესი ლიგა

კიევისა და მოსკოვის დინამოელთა მატჩით, რომელიც შედგება დღეს უკრაინის დედაქალაქში, დასრულდება საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში. შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევს პირველ ყოველისა იმით, რომ აქ წყდება ოქროს მედლებისა და სსრ კავშირის 1986 წლის ჩემპიონის ბედი.

თუ შეხვედრა დამთავრდა ფრედ, პირველ ადგილზე გავლენ მოსკოველები. ვინაიდან უკრაინელ ფეხბურთელებს ამოწურული აქვთ ფრეთა ლიმიტი, ისინი დაკმაყოფილდებიან ბრინჯაოს მედლებით. ჩემპიონატის მეორე პრიზიორი გახდება დედაქალაქის „სპარტაკი“.

წარმოგიდგენთ კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები გუნდი

დიდი ხანია საქართველოს წყალბურთელებს ისე არ გავუხარებიეართ, როგორც წელს გაგვახარეს — საკავშირო სპარტაკიადაზე ვერცხლის მედლები მიიღეს, ახლახან კი I ლიგაში თამაშის უფლებაც მოიპოვეს.

თავიანთი ბედი ჩვენმა წყალბურთელებმა, როგორც იტყვიან, თვითონ გამოსჭედეს. წარმატებას დაუღალავი ვარჯიშით, კარგი თამაშით მიაღწიეს. ჰქონდათ დიდი მიზანი, იცოდნენ რისთვის იბრძოდნენ და შეუპოვრად მიიწევდნენ წინ.

საქართველოს ნაკრები სასპარტაკიადო ბრძოლებში გამოწრთობილი კოლექტივია. წყალბურთის სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ, რომ როცა საქართველოს ნაკრები ცუდად თამაშობს, სასპარტაკიადო ტურნირები უღიმღამოდ ტარდებაო, წლეულს ჩვენი ბიჭები შესაშური მონდომებით თამაშობდნენ და წარმატების იმედიც ჰქონდათ. მათ თავდაპირველად ბრინჯაოს მედლების მოპოვება დაისახეს მიზნად, მაგრამ, მერე, როცა რამდენიმე შეხვედრა კარგად ჩაატარეს, უფრო დიდ ჯილდოზე დააწყეს ფიქრი და ისე თამაშეს, რომ შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი დღით ადრე მოიპოვეს ვერცხლის მედლები. თან სპორტის ოსტატის წოდებებიც მიიღეს.

აი, ისინიც, ჩვენი ვერცხლის მედალოსნები: თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდის წევრები მიხეილ გიორგაძე (კაპიტანი), ალექსანდრე ბითაძე, დიმიტრი რამიშვილი და ვალერი მაჭავარიანი, ნაკრებში იყვნენ სხვა დინამოელებიც — გიორგი კერესელიძე, ნოდარ ჩოლარია და გიორგი გობეჯიშვილი, თბილისის არმიელთა სპორტული კლუბის წევრე-

იხ. მე-3 გვ.

ავტორიტეტთა ფინაფი

უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა სხვადასხვა ნაკრებ გუნდში მრავლად ვხედავთ „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს წარმომადგენლებს. ამიტომაა, ამ სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ჩემპიონატებს ხშირად რომ ესწრებიან ჩვენი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელები. ამას წინათ მოსკოვში გამართულ ასპარეზობას დაესწრნენ ცნობილი მწვრთნელები ივან იარიგინი, ვალერი უხოპკო და შამილ ნევრიდინოვი. ისინი დიდი ყურადღებით აკვირდებოდნენ საკავშირო ნაკრების კანდიდატთა გამოსვლებს.

კარგად იჭიდავეს და პირველი ადგილი დაისაკუთრეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მამუკა რაზმაძემ (90 კგ), ზაზა ტყეშელაშვილმა (100 კგ) და გიორგი გალდავამ (130). ვახტანგ სულთანიშვილი (90 კგ) მეორე ადგილზე გავიდა, მესამე ადგილი წილად ხვდათ შამილ მაგომედოვს (68 კგ), რევაზ ხაბელოვს (74 კგ) და როლანდ ქორიძეს (82 კგ).

გუნდი შეჯიბრებისთვის ტარიელ ჭარბაძემ და ვანო ნიკოლაძემ მოამზადეს.

მეოცე, საერთაშორისო...

დიდი ხელბურთი კვლავ ეწვევა ჩვენს ქალაქს: 9-13 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება ხელბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე.

ასეთი შეჯიბრება პირველად 1966 წელს ჩატარდა. სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა 15-ჯერ მოიპოვა პრიზი. ქვეყნის მთავარმა გუნდმა შარშანაც დამაჯერებლად მოიგო ტურნირი, რომელშიც ხუთი გუნდი მონაწილეობდა, შეგახსენებთ, რომ მომდევნო ადგილებზე გავიდნენ პოლონეთის, უნგრეთის, საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები.

წელს ტურნირში, რომლის მთავარ მსაჯად საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი გურამ ძაგანია მოიწვიეს, ექვსი გუნდი გამოდის, ესენია სსრ კავშირის პირველი და ახალგაზრდული ნაკრები, იუგოსლავიის, რუმინეთის, პოლონეთის და საქართველოს გუნდები.

გთავაზობთ შეჯიბრების კალენდარს:

9 დეკემბერი, სამშაბათი

16.00 სთ., სსრ კავშირი-I — სსრ კავშირი-II.

17.30, იუგოსლავია — რუმინეთი.

19.00, შეჯიბრების საზეიმო გახსნა.

19.30, პოლონეთი — საქართველო.

10 დეკემბერი, ოთხშაბათი

16.30, რუმინეთი — სსრ კავშირი-II

18.00, იუგოსლავია — პოლონეთი.

19.30; საქართველო — სსრ კავშირი-I.

11 დეკემბერი, ხუთშაბათი

16.30, პოლონეთი — რუმინეთი.

18.00, სსრ კავშირი-I — იუგოსლავია.

19.30, სსრ კავშირი-II — საქართველო.

12 დეკემბერი, პარასკევი

16.30, იუგოსლავია — სსრ კავშირი-II.

18.00, პოლონეთი — სსრ კავშირი-I.

19.30, რუმინეთი — საქართველო.

13 დეკემბერი, შაბათი

15.30, სსრ კავშირი-II — პოლონეთი.

17.00, სსრ კავშირი-I — რუმინეთი.

18.30, საქართველო — იუგოსლავია.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე





ვეტერანი — მწყობრში

რესპუბლიკაში კალათბურთის განვითარების საქმეში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების 80 წლის თავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის საპატიო სიგელით და სამახსოვრო ოქროს მედლით დაჯილდოვდა სპორტის დამსახურებული ოსტატი კალათბურთში, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი **ლევან გიორგის ძე ფალავანდიშვილი.**

ვუყურებ და თვალებს ვერ ვუჯერებ, რა ძალაა ამ ჭარმაგ მამაკაცში. კიბეზე ისე აირბენს, ოცი წლის ბიჭი გეგონებათ. ასკთან შედარებით უჩვეულოდ მხნედ გამოიყურება. ამიტომ ყველაფერს ასწრებს. გუშინ ლენინგრადიდან ჩამოფრინდა — იქ უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთ ტურს უძღვებოდა. დღეს, თუ საქმემ მოითხოვა, სხვა ქალაქში გაეშგზავრება. არადა ამ დღეებში ლევან ფალავანდიშვილს ოთხმოცი წელი შეუსრულდა.

გვაოცებენ ძველი თამბის სპორტსმენები. საიდან აქვთ ასეთი ხალისი, რწმენა, უნერგი. ხამოცდახუთი წელი იმსახურო სპორტში და კიდევ ასეთი ენთუზიაზმით? მაგრამ თუ უანგაროდ, ხიყვარულით ემსახურები საქმეს, დაღლა რას მიქვიან.

ლევან ფალავანდიშვილმა თითქოს ყველაფერი მოასწრო სპორტში: სპორტის დამსახურებული ოსტატია, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, წარჩინებული ფიზკულტურელი, შრომის ვეტერანი. კიდევ დარჩა რამე? ეს ყველაფერი ერთმა კაცმა შეძლო, კაცმა, რომელსაც გაბედულად შეიძლება ვუწოდოთ ქართული კალათბურთის ისტორია.

გადავწყვიტეთ ლევან ფალავანდიშვილს ამ ღირსახსოვარ დღეს გავსაუბრებოდით:

დაუღალავი...

● ალბათ თავს ვალმოხდილად გრძნობთ სპორტში?

— ასე რომ იყოს, ლენინგრადში არავინ მიმიწვევდა, რახან მიმიწვიეს, ალბათ ჯერ კიდევ საჭირო ვარ და თუ საჭირო ვარ, კიდევ უნდა ვემსახურო კალათბურთს.

● სპორტის სხვა სახეობებში თუ გიცდიათ ძალა?

— თუ გიცდიათო რას მიქვიან. ჩემი თაობის ახალგაზრდობა კალათბურთის გარდა ტანვარჯიშით, ფეხბურთით, ფრენბურთით, მძლეოსნობით იყო გატაცებული.

● პირველი მასწავლებლის გვარი თუ გახსოვთ?

— რა დამავიწყებს! ვსწავლობდი თბილისის პირველ გიმნაზიაში. ტანვარჯიშის ხელოვნებას არჩილ ბაქრაძის ხელმძღვანელობით ვეუფლებოდი. განა შეიძლება მისი დავიწყება?

● შეჯიბრებებში თუ გამოსულხართ?

— თხუთმეტი წლისამ ტანვარჯიშის ინსტრუქტორის კურსები დავამთავრე, მაგრამ ინსტრუქტორის წოდება არ მომანიჭეს, აქაო და მოსწავლე ხარო. სამაგიეროდ ჯგუფხელი გავხდი — ესეც დიდი წარმატება იყო. მერე ფეხბურთმა გამიტაცა და ტანვარჯიშს ჩამოვცილდი.

● ფეხბურთელთა რომელ გუნდში თამაშობდით?

— იყო ასეთი კლუბი — „მალსტრემი“. აქ გამოდიოდნენ დავით მდივანი, ვალიკო სოლოდაშვილი, კუკური გიორგაძე, შალვა კილოსანიძე, მიხეილ კალანდარიშვილი, ჩემი ძმა ალექსანდრე ფალავანდიშვილი. მეც მათთან ერთად ვთამაშობდი.

1926 წელს თბილისში შეიქმნა ახალი გუნდი, რომელსაც სერგო ქავთარაძის სახელი ეწოდა. ამ გუნდში ჩემს გარდა გამოდიოდნენ გოგი შხვაცაბაია, ვლადიმერ მდივანი, ძმები ლევან და რუბენ ბაგმანიანები, არჩილ წერეთელი, საშა სიხარულიძე, ქუთაისელი გივი კილაძე, რომელიც მატჩის დღეებში სპეციალურად ჩამოდიოდა თბილისში და კიდევ სხვები. თბილისის პირველობის ფინალში ჩვენ „ჯავშნაწილის“ გუნდთან დავმარცხდით (0:1) და გულდაწყვეტილებმა საერთოდ თავი დავანებე ფეხბურთს.

● ფრენბურთსაც თამაშობდით?

— 1934 წელს ბაქოში ჩავედით ამიერკავკასიის პირველობაში მონაწილეობის მისაღებად. დებულების თანახმად, ამ ტურნირში პირველ-მეორე ადგილებზე გასულ კოლექტივს საკავშირო პირველობაში უნდა მიეღო მონაწილეობა. ჩვენ ეს უფლება მოვიპოვეთ, მაგრამ გუნდს ვეღარ გავყევი. იმ დროს კიევში კალათბურთელთა საკავშირო პირველობა ტარდებოდა და იქ გამგზავრება კამჯობინე.

● კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი მაინც მონათესავე სპორტული თამაშებია. მძლეოსნობაში როგორღა მოხვედით?

— ეს იყო, თუ არ ვცდები, 1928 წელს. ლენინის სახელობის სტადიონზე ერთსა და იმავე დროს ფრენბურთელთა და მძლეოსანთა ტურნირი ტარდებოდა. ჩვენი მეტოქე იმ დღეს ქუთაისის გუნდი იყო. შუა თამაშში მძლეოსნებმა უყმბარის სასროლად გამომიძახეს (ვიღაცას ჩემი გვარი შეჯიბრების მონაწილეთა სიაში ჩაუწერია). თავი მივანებე ფრენბურთს, ვტყორცნე უყმბარა და მოხდა სასწაული... რესპუბლიკის რეკორდი დავამყარე. მაშინ ამისთვის ყურადღება არ მომიქცევია. დავბრუნდი ფრენბურთის მოედანზე და თამაში განვაგრძე. მეორედაც გამომიძახეს, ამჯერად სამმხტომელთა შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. ისევ შევწყვიტე თამაში და... სამხტომშიც რესპუბლიკური რეკორდი დავამყარე. ამასობაში ჩემი გუნდი, რომელსაც სათადარიგო ფრენბურთელი არ ჰყავდა, ქუთაისის გუნდთან დამარცხდა, არ დაგმალავთ, თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, ბიჭებს თვალებში ვერ ვუყურებდი, მაგრამ მე ხომ არ მინდოდა მათთვის მეღალატა.

● რატომ აღარ გაგაყვევით მძლეოსნობას?

— სხვათა შორის მე პირველი საკავშირო სპარტაკიადის (1928 წელი) მონაწილე ვარ, როგორც მძლეოსანი. ეს ისე, ცნობისთვის, მაგრამ მძლეოსნობას ვერ ვუერთგულებდი, რადგან სულით და ხორცით კალათბურთელი გახლდით.

● კალათბურთის თამაში როგორღა დაიწყეთ?

— სრულიად შემთხვევით, სობოროს მოედანზე ფეხბურთს ვთამაშობდით. ბურთი დაგვეხა, ის იყო შინ წასვლა დავაპირეთ, რომ მოედანზე შურა კარპოვის მეთაურობით კალათბურთელები შემოვიდნენ. გუნდს, თუ არ ვცდები, „პარიზის კომუნა“ ერქვა. გვეთამაშეთო შემოგვთავაზეს, ჩვენც დავთანხმდით და წარმოიდგინეთ გავიმარჯვეთ. აი, სწორედ მაშინ თქვა პირველად გოგი შხვაცაბაიამ: მოდით, კალათბურთის თამაში დავიწყოთო.

● რომელი წელი იყო?

— 1926 წლის შემოდგომა. მომდევნო წლის იანვარში კი თბილისის უნივერსიტეტის გუნდის ღირსება დავიცავით ქალაქის პირველობაზე — მეორე ადგილი დავიკავეთ. ოთხი ქულით მოგვგო „სინათლემ“, რომელშიც ქართული კალათბურთის პიონერები შურა ჭელიძე, მიხეილ ცხვედაძე, გოგი საყვარელიძე, ბორის გერასიმოვი და ანდრეი დავიდოვი თამაშობდნენ.

● „სინათლეს“ აღარ შეხვედრიხართ?

— უნივერსიტეტის გუნდი და „სინათლე“ მომდევნო წლებშიც მთავარი მეტოქეები იყვნენ. მაგრამ 1929 წლის შემდეგ „სინათლე“ ფაქტიურად დაიშალა და უნივერსიტეტელებს მთელი ათი წლის მანძილზე, არც თბილისის და არც საქართველოს პირველობაზე, კონკურენტი აღარ გვყოლია.

● თქვენ, როგორც ვიცით, ძველი დინამოელი ხართ. როდის და რა პირობებში მოხვედით გუნდში?

— 1929 წელს მე, ვახტანგ ციციშვილმა, რობერტ მდივანმა, არჩილ წერეთელმა, შალვა ყიასაშვილმა და ვლადიმერ მდივანმა გადავწყვიტეთ „დინამოში“ გადასულიყავით, მაგრამ ბოლო მომენტში ყველა გაზზე გადგა. მე ვეღარ გავტეხე პირობა და... „დინამოში“ აღმოვჩნდი.

● დანარჩენები როდის შემოგიერთდნენ?

— მოგვიანებით. 1931 წელს ამიერკავკასიის მექანიზაციის ინსტიტუტი დავამთავრე და სამუშაოდ წავედი ჯერ ლაგოდეხში, მერე ყარაიაში, მერე ქობულეთში. თბილისში ორი წლის შემდეგ დავბრუნდი. ჩამოვედი თუ არა, მთელი ჩვენი ძველი გუნდი „დინამოში“ გადმოვიდა. 1939 წლამდე „დინამოს“ თბილისისა და საქართველოს ჩემპიონის სახელი არ დაუკარგავს. მერე ქუთაისიდან ჩამოვიდნენ ძლიერი კალათბურთელები. პირველი მათ შორის შოთა ქორქაშვილი იყო, მერე სულიკო თორთლაძე, ჯუმბერ ნიკარაძე, ძმები მესხები შემოგვიერთდნენ და დაიწყო თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის ახალი, შინაარსით სავსე ცხოვრება.

● თქვენ საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრიც იყავით. რომელ წლებში?

— 1934 წელს საკავშირო ჩემპიონატი კიევში ჩატარდა. თბილისის გუნდმა ამ ტურნირში ლენინგრადის, მოსკოვისა და ოდესის შემდეგ მეოთხე ადგილი დაიკავა. შეჯიბრების დამთავრებისთანავე დაასახელეს ათი კალათბურთელი, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის ნაკრების ღირსება უნდა დაეცვათ. მათგან ხუთი ლენინგრადელი იყო (კუზნეცოვი, ტიშჩინსკი, კრასოვსკი და სხვები), ოთხი მოსკოველი (ტრავინი, ვორობიოვი...). ნაკრების მეათე წევრად მე ჩამრიცხეს. მაგრამ ეს ნაკრები, ასე ვთქვათ, სიმბოლური გუნდი გამოდგა, ვინაიდან, არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია.

● საკავშირო ჩემპიონატებში რომელ წლამდე თამაშობდით?

— ბოლო ჩემპიონატი, რომელშიც თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში გამოვედი, 1945 წელს ჩატარდა. მაშინ ოცდაცხრამეტი წლისა გახლდით.

● ეს ალბათ კალათბურთისათვის სარეკორდო შედეგია?

— ვფიქრობ, რომ ასეა, თუმცა ასეთ სტატისტიკას ახლა ვინღა აწარმოებს?

● თქვენ დიდი ხანია აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევით და ბევრი სპეციალისტიც გამოზარდეთ.

— გააჩნია რა გაქვთ მხედველობაში. როგორც კალათბურთის მსაჯმა ბევრი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი აღვზარდე. დავასახელებ რამდენიმეს — ვახტანგ ჯაფარიძეს, როლანდ ხომერიკს, გოგი ავალიშვილს... როგორც ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა ათასობით კალათბურთისა და სპორტის სხვა სახეობის სპეციალისტი ფეხზე დავაყენე.

● მსაჯის სახტვენი როდის აიღეთ ხელში პირველად?

— ჯერ კიდევ 1930 წელს. რა რანგის ტურნირს აღარ გავძღოლივარ, ხან მსაჯი ვიყავი, ხან მთავარი მსაჯი, ხან მისი მოადგილე და ასე შემდეგ. წლების მანძილზე საქართველოს კალათბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე და მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე გახლდით.

● დღეს თუ მუშაობთ?

— 1938 წლიდან დღემდე, ესე იგი მთელი 48 წელია, ფიზკულტურის ინსტიტუტში ვმუშაობ უფროს მასწავლებლად, სპორტთამაშობათა კათედრაზე. ინსტიტუტი ჩემი მეორე ოჯახია და მას ალბათ ვერასდროს ვუღალატებ.

● მაგრამ ლევან ფალავანდიშვილს სპორტული საზოგადოებრიობა კიდევ ერთი პროფესიით იცნობს...

— ეს არ არის ჩემი პროფესია. ეს უფრო ჰობია, რომელსაც ამ ორმოციოდე წლის წინ ისე, სახალისოდ მოვკიდე ხელი და მას მერე თავს ვეღარ ვანებებ. ვიმეორებ, ჟურნალისტობა არ არის ჩემი საქმე, მაგრამ მომწონს ჟურნალისტების საქმიანობა. მათ ლაღი ცხოვრების წესი და ვცდილობ მათ რაღაცაში დავემსგავსო. ისე, თქვენთან შედარებით მე უფრო მიჭირს. ჟურნალისტებთან — ჟურნალისტი უნდა ვიყო, სპორტსმენებთან—სპორტსმენი, მსაჯებთან — მსაჯი და ეს ყველაფერი ინსტიტუტის მასწავლებლის პროფესიას შევუთავსო. ძნელია, მაგრამ, მერწმუნეთ, სასიამოვნოც.

საქალაქთაშორისო შეჯიბრება

სახსრების კოოპერირებით

ამ რამდენიმე წლის წინ თბილისის სპორტკომიტეტის თაოსნობით კვლავ აღორძინდა საქალაქთაშორისო შეჯიბრება ცხენოსნობაში. უკვე ტრადიციად ქცეულ ასპარეზობას ამ დღეებში თბილისმა უმასპინძლა.

ამთავითვე ვიტყვით, რომ წლევანდელი ტურნირი განსაკუთრებით კარგად იყო ორგანიზებული. „საიდუმლოსაც“ აქვე გავიგებთ: ეს შეჯიბრება წელს პირველად ჩატარდა წილობრივი მონაწილეობით (სახსრების კოოპერირებით) — თბილისის სპორტკომიტეტს მხარში ამოუდგა საქართველოს განათლების სამინისტრო. თუ რატომ, ესეც გასაგებია: მთელ საბჭოთა კავშირში ბავშვთა და მოზარდთა საცხენოსნო რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლა განათლების სისტემის ხაზით მხოლოდ ჩვენს რესპუბლიკაშია გახსნილი.

ესტონეთი და ლატვია, რომელთა წარმომადგენლებიც ჩვენს მხედრებთან შესახვედრად ჩამოვიდნენ, ჩვენს ქვეყანაში მძლავრ საცხენოსნო კერებად ითვლებიან. ტურნირში სტუმრებთან ერთად ჩაება თბილისის ოთხი ნაკრები. მწვრთნელებმა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს: დედაქალაქის თითოეულ გუნდში ერთად გამოდიოდნენ განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის სპორტსახკომის საცხენოსნო სპორტული ბაზის წარმომადგენლები.

ახლა შედეგების შესახებ. „გახსნის პრიზზე“ გამართულ შეჯიბრებაში, როგორც ადრე ვიწუწუნებოდით, გაიმარჯვა განათლების სპორტსკოლის აღსაზრდელმა იგორ მამფორიამ. აქ მეორე იყო მამუკა გიორგაძე, მესამე — ირაკლი ჭაფოძე (ორივე — საცხენოსნო ბაზა). თბილისის სპორტკომიტეტის თასზე რთული კლასის დაბრკოლებათა გადალახვაში ყველას აჯობა თბილისის კიროვის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ჩარხშენებლის“ მუშამ ვამეხ გაჩეჩილაძემ, მეორე და მესამე ადგილები კი სტუმრებს — ტალინელ მხედრებს ტომას კლასს და ტარმოს კუგასარს ხვდათ. „მეგობრობის თასი“ კუგასარმა მოიგო, მეორე იყო ირაკლი ჭაფოძე, მესამე — ივანე ყურუა (განათლების სპორტსკოლა). საერთო-გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ მამუკა გიორგაძე, ვამეხ გაჩეჩილაძე და მამუკა რევიშვილი.

პირველად ამ შეჯიბრებაზე მოიწვიეს ცნობილი სპორტსმენები, ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ ასმაევი და წარსულში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მხედარი ვიქტორ დურგუტი, რომლებმაც ასპარეზობის მონაწილეებს და თბილისის ახალგაზრდა მხედრებს თეორიული მეცადინეობა ჩაუტარეს.



დასვენების დღეებში გაჯანსაღების, აქტიური გართობის მოყვარულებისთვის ღია სპორტის სახახლის კარი. ასე იყო გუშინაც. სურათზე, რომელიც ჩვენმა კორესპონდენტმა ზემელ ქასრაძემ გადაიღო, თქვენ ხედავთ მაგიდის ჩოგბურთის მოყვარულებს, მაგიდები დადგმულია სახახლის ფოიეში.

ᲬᲐᲠᲓᲒᲘᲓᲒᲔᲜᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ბი — ირაკლი ლიპარტელიანი, ლევან წულაძე, მამუკა კელაურიძე, თეიმურაზ კობახიძე, მიხეილ ფანჩულიძე, თეიმურაზ გვალაძე.

ჩვენი გუნდის თავდამსხმელები რამაზიანი და ბითაძე ტურნირის საუკეთესო ბომბარდირები აღმოჩნდნენ. (შესაბამისად 35 და 31 ბურთი გაიტანეს), მათ საგოლე ბურთებით ჩინებულად ამარაგებდა ბაჟავარიანი, საკუთარი კარის მისადგომებს ბრწყინვალედ იცავდა მცველი გიორგაძე, უბადლო იყო მეკარე კერესელიძე, რომელმაც ოთხი პენალტი მოიგერია...

თითოეული მათგანის დახასიათება შორს წაგვიყვანდა, ამიტომ ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ყველამ კარგად ითამაშა, ყველამ თავისი წვლილი შეიტანა გუნდის წარმატებაში.

წლევანდელ სპორტულ სეზონში ჩვენი წყალბურთელების მთავარი გამოცდა საკავშირო სპარტაკიადა იყო, ამიტომ გუნდის მწვრთნელებმა ირაკლი ჩხიკვაძემ და ბორის მეგედიმ მთელი ყურადღება სწორედ სპარტაკიადისთვის მზადებაზე გადაიტანეს.

— ორ ფრონტზე ბრძოლა ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ გვიხარია, რომ გარჯა დაგვიფასდა, — გვითხრა ირაკლი ჩხიკვაძემ.

დამთავრდა სპარტაკიადა, წყალბურთელებს დასვენების უფლება მისცეს, მაგრამ თბილისელ არმიელებს ირაკლი ლიპარტელიანს, ლევან წულაძეს, მამუკა კელაურიძეს, თეიმურაზ კობახიძეს, მიხეილ ფანჩულიძესა და თეიმურაზ გვალაძეს დასვენებისთვის არ ეცალათ. მათ სხვა არმიელ თანაგუნდელებთან: გენადი ქათამაშვილთან (მწვრთნელი-მოთამაშე), ზაზა ახვლედიანთან (გუნდის კაპიტანი), ზაზა გიორგაძესთან, მამუკა დემეტრაშვილთან, ლევან ხარჩილაძესთან, გიორგი წულაძესთან, გიორგი მაფსურაძესთან და ლევან კალანდაძესთან ერთად სხვა მიზანიც ჰქონდათ შესასრულებელი — I ლიგის საგზური უნდა მოეპოვებინათ... ისევ წყალი, ისევ ბურთი და ისევ „მოუღლელი ვარჯიში.

და აი, გაიმართა საკავშირო შესარჩევი ტურნირი — თბილისის ასკ-მა I ლიგის საგზურისთვის იბრძოლა. საგზური ორი იყო, მაგრამ თბილისელებმა მხოლოდ გამარჯვება დაისახეს მიზნად.

ჩვენმა გუნდმა ყველა დაამარცხა და მხოლოდ ერთი შეხვედრა დაამთავრა ფრედ. როგორც გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ზაურ ქართველიშვილმა გვითხრა, ბიჭებმა მიზნის მისაღწევად ყველაფერი გააკეთეს.

ნათქვამია წინილებს შემოდგომაზე ითვლიანო. ჩვენმა წყალბურთელებმაც თავიანთი გარჯის ნაყოფი შემოდგომაზე მოიმკეს — ჯერ სპარტაკიადაზე, მერე საკავშირო ტურნირზე.

ᲑᲔᲙᲔᲜᲑᲐᲣᲔᲠᲘ:

„ᲒᲠᲫᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲐᲓᲝᲜᲐ“

ევროპაში მოთამაშე ვარსკვლავები).

არგენტინის ეს ნაკრები ახლა პანამერიკული თამაშების შესარჩევ შეჯიბრებაში მონაწილეობს.

კარლოს ბილარდო, რომელიც ახლა 48 წლისაა, არგენტინის ნაკრების სათავეში 1990 წლის ზაფხულამდე დარჩება. იგი გუნდს მსოფლიოს ახალი ჩემპიონატისთვის მოამზადებს და ფინალურ ტურნირზეც უხელმძღვანელებს.

ბილარდო არგენტინის ნაკრებს 1983 წლის თებერვლიდან უძღვება.

მიუნხენის „ბაიერნმა“, რომელიც „ნაპოლისთან“ მარადონას „შეძენის“ შესახებ აწარმოებდა მოლაპარაკებას, განაცხადა, რომ განზრახვაზე ხელს იღებს უფულობის გამო. გფრ-ს ნაკრების ხელმძღვანელმა ფრანც ბეკენბაუერმა ამ ქვეყნის სხვა გუნდებს ურჩია ფინანსური დახმარება აღმოუჩინონ „ბაიერნს“, რადგან მარადონას გადმობირება დასავლეთგერმანულ ფეხბურთზე უდავოდ კეთილად იმოქმედებს, განთქმული ფეხბურთელის გამოსვლები სტადიონებზეც დიდძალ მაყურებელს მოიზიდავს.

ᲣᲒᲝ ᲛᲐᲠᲐᲓᲝᲜᲐ — ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲨᲘ

როგორც ბუენოს-აირესის გაზეთები იუწყებიან, მწვრთნელმა კარლოს ბილარდომ 17 წლის უგო მარადონა, დიეგო მარადონას უმცროსი ძმა, რომელიც „არგენტინოს ბუნიორსში“ თამაშობს, გადაწყვიტა ეროვნულ ნაკრებში შეეყვანა (ამ გუნდში არ იქნებიან

ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ჭადრაკის სასახლეში დაიწყო საკავშირო პირველობების რესპუბლიკური შესარჩევი ტურნირები გოგონათა და ჭაბუკთა შორის. ამგვარი შეჯიბრებები ყოველი წლის ბოლოს იმართება. წლევანდელ ტურნირებში რამდენიმე ისეთი მოჭადრაკე მონაწილეობს, რომელთაც წინა წლებში გამართულ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში გაუმარჯვნიათ და საკავშირო პირველობებში უთამაშიათ. ესენი არბან ციირა მერეკლიშვილი, სოფიკო ნიკოლაძე, ნათია ჯანჯღავა, ალექსანდრე დგებუაძე, იანის პოპოვი, ლაშა ჯანჯღავა და ნიკოლოზ მანაგაძე.

1987 წლის საკავშირო პირველობებში მონაწილეობის მიღების უფლებისთვის (2-2 საგზური) 10-10 ქალაშვილი და ჭაბუკი იბრძვის. კენჭისყრის შემდეგ სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება: გოგონები — 1. ციირა მერეკლიშვილი (თბილისი), 2. ნინო ხარლამიდი (ქუთაისი), 3. მაია გრიგალაშვილი (თბილისი), 4. მზია ფანიაშვილი (რუსთავი), 5. მარინე გაგნაშვილი (თბილისი), 6. სოფიკო ნიკოლაძე (ქუთაისი), 7. იამზე თვაური (თბილისი), 8. მაია ხუციშვილი (ვარკეთილი), 9. ირინე სანებლიძე, 10. ნათია ჯანჯღავა (ორივე — თბილისი).

ჭაბუკები — 1. ალექსანდრე დგებუაძე (ზუგდიდი), 2. იანის პოპოვი, 3. კახა შალამბერიძე (ორივე — თბილისი), 4. გიზო ჭურღულია (ზუგდიდი), 6. რომან სიჭინავა (ცხაკაია), 7. რამაზ ბაღათურია (სოხუმი), 8. ხვიჩა სუპატაშვილი, 9. ნიკოლოზ მანაგაძე (ორივე — ქუთაისი), 10. ლაშა ჯანჯღავა (თბილისი).

ამ ორი ტურნირის პარალელურად მიმდინარეობს ოთხწრიანი მატჩ-ტურნირი კადეტთა შორის. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული საკავშირო პირველობის საგზურს მიიღებს. ამ საგზურის მისაღებად იბრძვიან უმაწვილები აკაკი იაშვილი (თბილისი), ზურაბ იგრიაშვილი (რუსთავი) და გიორგი გოგოლაძე (ჩოხატაური).

ტურნირებზე უკვე გათამაშდა 2-2 ტური. გოგონათა შორის დაწინაურდა მერეკლიშვილი — 2 ქულა. ფანიაშვილსა და ნიკოლაძეს 1,5-1,5 აქვთ. ბიჭებს შორის ლიდერობენ ბაღათურია და პოპოვი — 2-2 ქულა. ჯანჯღავასა და სუპატაშვილს 1,5-1,5 ქულა აქვთ.

კადეტთა მატჩ-ტურნირის პირველ ტურში იაშვილმა მოუგო ბგრიაშვილს.

სსრ კავშირის გოგონათა და ჭაბუკთა პირველობები 1987 წლის იანვრის დასაწყისში ჩელიაბინსკსა და კასუკასში გაიმართება.

ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ნორჩი დინამოელის“ კალათბურთელთა გუნდი წლეულს რამდენიმე საკავშირო შეჯიბრებიდან გამარჯვებული დაბრუნდა. ახლახან დნეპროპეტროვსკში გამართულ კალათბურთელთა საკავშირო ტურნირზე, რომელშიც 1971-72 წლებში დაბადებული ბავშვები მონაწილეობდნენ, ნორჩმა დინამოელებმა (მწვრთნელი — ჯამლეტ ხუხაშვილი, სპორტსკოლის დირექტორი — გივი ბიჭიაშვილი) კვლავ წარმატებით იასპარეზეს — ყველა შეხვედრა მოიგეს და პირველობა დაისაკუთრეს.

— დნეპროპეტროვსკის ტურნირზე მიწვევა სიამოვნებით მივიღეთ, — გვიამბობს ხუხაშვილი. — იქნებ იმიტომ, რომ მასპინძლები შარშანდელი საკავშირო პირველობის გამარჯვებულები იყვნენ. მათ გარდა ასპარეზობაში მონაწილეობდა მიმდინარე წლის საკავშირო პირველობის შერჩევით შეჯიბრებაში გამარჯვებული ვოროშილოვგრადის გუნდი. და კიდევ ერთი საინტერესო კოლექტივი — 1972 წელს დაბადებული პერსპექტიული კალათბურთელებისაგან შემდგარი უკრაინის მეორე ნაკრები, რომელიც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისათვის ემზადება. ერთი სიტყვით, ტურნირზე საინტერესო შემადგენლობამ მოიყარა თავი. თბილისელებმა ერთიმეორის მიყოლებით დაამარცხეს უკრაინის II გუნდი (97:71), ვოროშილოვგრადის ნაკრები (110:73) და გადამწყვეტ მატჩში დნეპროპეტროვსკელ თანატოლებს სძლიეს (87:75).

აღსანიშნავია, რომ ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დინამოელი ირაკლი ბაქრაძე აღიარეს.

სულ მალე, მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების დღეებში, გაიმართება იუნიორთა საკავშირო პირველობის ნახევარფინალური მატჩები. შეჯიბრებაში კარგა ხნის ინტერვალის შემდეგ, საქართველოს ორი გუნდი იასპარეზებს. „ნორჩი დინამოელი“ კვლავ დნეპროპეტროვსკში გამოვა, ხოლო „მართვე“ — კუსტანაიში.

ᲔᲚᲙᲘᲐᲔᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ

ᲐᲛ დღეებში პრაღის გაზეთ „ჩესკოსლოვენსკი სპორტის“ კორესპონდენტი ესაუბრა განთქმულ დანიელ ფეხბურთელს პრებენ ელკიაერ-ლარსენს. გთავაზობთ ნაწყვეტს ამ ინტერვიუდან.

● ბოლო დროს თქვენ ტრავმებს უჩიოდით, იშვიათად თამაშობდით.

— ახლა კარგად ვარ, ნატკენი ფეხი აღარ მაწუხებს.

● რა გეწყინათ უფრო მეტად — ის, რომ 1984 წელს ევროპის ჩემპიონატში ესპანელებთან მატჩში 11-მეტრიანი დარტყმა ვერ გამოიყენეთ, თუ ის, წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში იმავე ესპანელებთან ანგარიშით 1:4 რომ წააგეთ?

— ორივე ძალიან საწყენი იყო. მექსიკიდან გამწარებულები დავბრუნდით. ყველა გვეუბნებოდა: „თქვენ შესანიშნავად თამაშობდით!“ თუ ვთამაშობდით, შედეგი? ერთი სიტყვით, ჩვენ ერთხელ კიდევ დავამტკიცეთ, რომ არათანაბრად ვთამაშობთ. სამი მატჩი კარგად ჩავატარეთ, მეოთხეში წავიბორძიკეთ.

● მსოფლიო ჩემპიონატზე თითოეულ გუნდს რომ 3 მატჩი ჰქონდა ჩასატარებელი, დანიელები მსოფლიო ჩემპიონები გახდებოდნენ?

—რა გითხრათ, საბჭოთა ფეხბურთელებზეც იგივე შეიძლებოდა გვეთქვა.

● რა როლს ასრულებს თქვენს ცხოვრებაში ფეხბურთი?

— ძალიან დიდ როლს. სხვათა შორის, მისი დახმარებით ბევრ ქვეყანაში ვიმოგზაურე.

● კიდევ რამდენ ხანს აპირებთ უმაღლეს დონეზე თამაშს?

—რა ვიცი, სამი, ან შეიძლება ხუთი წელი ვითამაშო (პრებენ ელკიაერ-ლარსენი დაიბადა 1957 წლის 11 სექტემბერს. დანიის ნაკრების ღირსება დაიცვა 62 მატჩში. გაიტანა 35 გოლი).

● შემდეგ მწვრთნელი გახდებით?

— მართალი გითხრათ, ამაზე ჯერ არ მიფიქრია.

● თქვენ ბევრ ქვეყანაში გამოსულხართ მინდორზე, მაინც სად სჯობს თამაში?

— რა თქმა უნდა, იტალიაში, სადაც სტადიონები მუდამ გულშემატკივრებით არის სავსე.

● მომავალის გეგმებზე რას გვეტყვით?

— მინდა გავიდეთ ევროპის პირველობის ფინალში, რომელიც 1988 წელს გაიმართება. ისევ იტალიის ლიგაში დარჩენას ვაპირებ.

— „ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲞᲠᲘᲖᲖᲔ ᲛᲘᲜᲘᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ ⊙ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ —

ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲕᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲡ

ᲐᲛ თეატრების დავა სპორტულ სარბაილზე ლიდერობისათვის კარგა ხანია გრძელდება. ფეხბურთის მოედანზე ისინი ძველი, შეურიგებელი მეტოქეები არიან და შესანიშნავად იციან ერთიმეორის ფასი. ამ დღეებში ორივე თეატრში დავრეკეთ, რათა გაგვეგო, რა აზრისა არიან მეტოქეები მომავალ მატჩზე. უურმილში ორივეჯერ გავიგონეთ ხმა, რომელიც შორიდან ძალიან ჰგავდა რაღაც საბრძოლო იარაღის ქოლარუნს.

— ო, ჩვენ მარჯანიშვილელებს, რასაკვირველია, მოვუგებთ...

— ო, ჩვენ რუსთაველელებს, რაღა თქმა უნდა, დავამარცხებთ...

ჩვენ კი ერთი რამ გვჯერა: როგორც უნდა დამთავრდეს მატჩი, გამარჯვებულნი პირველ ყოვლისა გულშემატკივრები ვიქნებით. ხუმრობა ხომ არ არის — საშუალება მოგვეცეშა სცენისა და კინოს ცნობილი ოსტატები, ჩვენი საყვარელი მსახიობები ვიხილოთ... ფეხბურთის მოედანზე.

ახლა ალბათ მომავალი ბატალიების მოლოდინში სხედან სტატისტიკოსები და გაცხარებული ანგარიშობენ, მეტოქეთაგან რომელს უფრო ხშირად მოუგია შეხვედრა, რომელს მეტი გოლი აქვს გატანილი, რომელს...

ახლა ალბათ ორივე თეატრში გამალებით ემზადებიან მომავალი მატჩისათვის, ვარჯიშობენ, შეხვედრამდე დარჩენილ დღეებს ითვლიან და მტკიცედ სჯერათ გამარჯვებისა!

უნდა სჯეროდეთ!

ჩვენც ხომ გვჯერა, რომ მშვენიერი სანახაობა გველის, რომ წინ არის უაღრესად საინტერესო მატჩი.

ᲒᲣᲨᲘᲜ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐᲡ ᲓᲐᲕᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ. თამხობა მოიწონეს და გვთხოვეს ორივე თეატრის გუნდებს გალეკცეთ, რომ სპორტის სახალხო კოლექტივი მზადაა უმასპინძლოს „საუკუნის მატჩს“.

P.S. ამ დღეებში რედაქციაში შედგება მეტოქე გუნდების კაპიტნების შეხვედრა, რომლის შესახებაც ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში გიამბობთ.

ᲣᲔᲤᲐ-Ს ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲝ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ უეფა-ს სამდივნო იუწყება, 7 თამაშით დისკვალიფიკაცია მისცეს „ტულუზას“ ფეხბურთელს ბელიუზის, 4 თამაშით — ხიდატულინს (მოსკოვის „სპარტაკი“), სამით — კარვალიოს (ზიმბაბვეში „ვიტორია“) და ა. შ. მათ სტადიონზე მაყურებელთა ხულიგნური საქციელის გამო, 15 ათასი შვეიცარიელი ფრანკით დააჯარიმეს როტერდამის „ფეიენოორდი“, 5 ათასი ფრანკით — დანიის ფეხბურთის ფედერაცია.

იბედნიერეთ!

ჩემპიონს იმიტომ ჰქვია ჩემპიონი, რომ სპორტული დიდების მწვერვალზე მყოფს ბევრი სასიხარულო და ბედნიერი წუთი განუცდია. ბევრი დიდი და სახელოვანი გამარჯვება აქვს მოპოვებული ჩვენს სახელოვან ჩემპიონთა კოპორტის ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენელს, ცნობილ მესტენდურეს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ თამაზ იმნაიშვილს, მაგრამ გუშინდელი დღე— 6 დეკემბერი გამორჩეულად ლამაზი იქნება მისი და ლამარა დაბრუნდაშვილის — საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორის ცხოვრებაში: ლამარამ და თამაზმა თბილისის რიტუალების სასახლეში სამუდამოდ დაუკავშირეს თავიანთი ბედი ერთმანეთს. კიდევ ერთი ოჯახი შეემატა საქართველოს! ბედნიერება ვუსურვოთ ახლადშექმნილ ოჯახს.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

სარბიელი უხმობს ფალავნებს

(დასასრული)

ხელმწიფო ცირკში დაიწყო ფალავანთა მეტად საინტერესო შეჯიბრება — რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ამ ასპარეზობის უდიდეს ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მასში მონაწილეობენ არა რაიონებისა და სპორტსაზოგადოებათა ნაკრები კოლექტივები, არამედ რაიონის ერთი სოფლისა და ქალაქის ერთი უბნის ნაკრები გუნდები, სულ 16 კოლექტივი. ოთხი ჯგუფიდან (თითოეულში 4-4 გუნდია), ბრძოლას ორ-ორი საუკეთესო ნაკრები განაგრძობს.

შეჯიბრება გახსნეს საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდისა და მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის წარმომადგენლებმა. ოთხი ორთაბრძოლის შემდეგ გიორგიწმინდელები საგრძნობლად დაწინაურდნენ (4:0), საბოლოო გამარჯვებისთვის მათ ერთი შეხვედრის მოგებაც ჰყოფნიდათ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში წილკნელებმა იშვიათი ნებისყოფა გამოავლინეს (ოსტატობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) და ზედიზედ ხუთი ბრძოლა მოიგეს. ანგარიშით 5:4 გაიმარჯვა წილკნის ფალავნთა ნაკრებმა.

ასპარეზობა ეს-ეს არის დაიწყო. ეჭვგარეშეა, რომ თანდათან იგი სულ უფრო მეტ პოპულარობას მოიპოვებს. ყოველ შაბათ დღეს ცირკის ტრიბუნებს ქართული ჭიდაობის ქომაგები შეავსებენ და ტემპერამენტიანი შეძახილებით გაამხნევებენ ფალავნებს. წინ კიდევ უფრო საინტერესო შეხვედრებია, ტურნირის ჩემპიონი კი მარტში გამოვლინდება.

წიგნის თარო

თენგიზ გიორგაძის ეს წიგნი ეძღვნება მაია ჩიბურდანიძისა და ირინა ლევიტინას მატჩის პერიპეტიებს. ამ მატჩს, როგორც ვიცით, 1984 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ვოლგოგრადში უნდა გაერკვია მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინის ახალი მფლობელის ვინაობა.

ამ წიგნში ზღვა მასალა ავტორს გადმოცემული აქვს სხარტად, საინტერესოდ. აქვე ბევრ ინტერვიუს წააწყდებით, ავტორისეულს თუ სხვადასხვა გამოცემებიდან გადმობეჭდილს, რაც კიდევ უფრო აცოცხლებს სამი წლის წინანდელ ბატალიებს, იმას, რაც წინ უძღოდა მატჩს, ორთაბრძოლის შემდგომ მოვლენებს.

ცალკე უნდა ითქვას გამომცემლობა „ნაკადულისა“ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბის მესვეურთა შესახებ. მათ მონდომება არ დაიშურეს, რომ წიგნი (ტირაჟი 10.000, ფასი 55 კაპ.) მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოეცათ. მშვენიერ საბეჭდ ქაღალდზე საუცხოოდ აღიქმება და იკითხება პარტიების ნოტაციები თუ დიაგრამები, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ასეთი სახის გამოცემისთვის. და, რაც მთავარია, ამ წიგნში, პირველად საბჭოთა საჭადრაკო ლიტერატურაში, გამოყენებულია ჭადრაკის ფიგურების გრაფიკული აღნიშვნა, რაც მატჩის პარტიებს ყველა ეროვნების მოჭადრაკისთვის ხელმისაწვდომს ხდის.



სპორტის სასახლე, დეკემბრის ღონისძიებები

7 დეკემბერი. სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება თბილისის რაიონების აღმასკომების და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ნაკრებ გუნდებს შორის.

9-13 დეკემბერი. საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში ვაჟთა გუნდებს შორის გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე.

მონაწილეობენ იუგოსლავიის, რუმინეთის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირის-I, საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

13-16 დეკემბერი. საქართველოს პირველობა მინიფეხბურთში საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის პრიზზე.

მონაწილეობენ: ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, ქუთაისის, ჭიათურის, თელავის და თბილისის ვაკე და ვერის უბნების გუნდები (13 დეკემბერს ხელბურთელთა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ჩატარდება ორი თამაში).

17-20 დეკემბერი. საერთაშორისო შეხვედრა ჭაბუკ მოკრივეთა ნაკრებ გუნდებს შორის. მონაწილეობენ: კუბის, ფინეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, იუგოსლავიის, ინდოეთის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

23-26 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის პირველობა კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. მონაწილეობენ: მოსკოვის „დინამოს“, მინსკის რადიოტექნიკური ინსტიტუტის, კიევის „სტროიტელის“ და თბილისის „დინამოს“ გუნდები.

27 დეკემბერი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების სპორტულ-მხატვრული ღონისძიება.

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები 30 ნოემბერს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, 48-ე ტირაჟებისა.

„სპორტლოტო 6 45“-დან: გაიყიდა 822 814 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (42 ბარათი) მოგება 1240 მანეთია, ოთხისთვის (2522) — 29, სამისთვის (40540) — 3.

„სპორტლოტო 5 36“-დან: გაიყიდა 6 574 490 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (20 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (3772) — 196, სამისთვის (172043) — 6.

მოგებული თანხის განაღდება 48-ე ტირაჟებისა და ათტირაჟებანი ბარათებისა, რომლებიც მონაწილეობენ 39-დან 48-ე ტირაჟებში, იწარმოებს 15 დეკემბრიდან 1987 წლის 15 იანვრის ჩათვლით.

„ოქროს ბურთის“ ლაურეატები

ერთადერთი!

1963 წლის 10 ნოემბერი. რომი. „სტადიო ოლიმპიკოზე“ უჩვეულო სიჩუმე სუფევს: იმედიან მოლოდინში გარინდებული 73 000 „ტიფოზი“ მონუსხულივით შეჰყურებს 11-მეტრიანი დარტყმის ნიშანზე გაქვავებულ ბურთს, რომლის ერთ მხარეს მასპინძელთა „ვარსკვლავი“ სანდრო მაცოლა დგას, ხოლო პირისპირ, კარის ხაზზე — ლევ იაშინი. გამორბენი, დარტყმა... მეკარემ გამოიცნო ბურთის მიმართულება და ნატრომით ხელთ იგდო იგი. გაწბილებულმა მაცოლამ ორივე ხელი თავში იტაცა. მეორე დღეს ამ მომენტში გადაღებული მისი ფოტოსურათი იტალიის თითქმის ყველა გაზეთმა დაბეჭდა. ხელოვაცრული კერპის მწუხარებას მისი თაყვანისმცემლებიც შეუერთდნენ. ეს გასაგები იყო: ევროპის თასის გათამაშების სპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში საბჭოთა კავშირის ნაკრებთან „სკუადრა აძურა“ ფრეს (1:1), დასჯერდა და, რადგან პირველი შეხვედრა წაგებული (0:2) ჰქონდა, ბრძოლას გამოეთიშა. იტალიელთა შეტევის მახვილი საბჭოთა გუნდის კარის მიმართულებით დაიმსხვრა. ის, რომ სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ ჩვენი კარის ლეგენდარული დარაჯი ლევ იაშინი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, იტალიელთათვის ვერაფერი შელავათი იყო, იმის მიუხედავადაც კი, რომ იგი დღემდე რჩება ერთადერთ მეკარედ, რომელსაც „ოქროს ბურთი“ მიენიჭა!

იაშინის შესახებ იმდენი რამ დაწერა და ითქვა, ამ უნიკალური ფეხბურთელის თაყვანისმცემლებმა თითქმის ზეპირად იციან მისი მდიდარი სპორტული ბიოგრაფია. იციან, რომ ლევ იაშინი უკვე 20 წლისა იყო (დაბადა 1929 წლის 22 ოქტომბერს მოსკოვში), როცა მოსკოვის „დინამოში“ ჩაირიცხა, ხოლო ძირითად შემადგენლობაში ფეხის მოსაკიდებლად კიდევ ოთხი წელიწადი დასჭირდა. იციან ისიც, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მან პირველად 25 წლისამ ითამაშა და მეტოქეებს, შვედ ფეხბურთელებს, გოლის გატანის საშუალება არ მისცა (გაიმარჯვა საბჭოთა გუნდმა — 7:0).

ხურათზე: მსოფლიოს XII ფეხბურთის საპატიო ხუთმარი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხ. სამარანჩი ოლიმპიურ ორდენს გადასცემს ცნობილ საბჭოთა მეკარეს, ფეხბურთში 1956 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს ლევ იაშინს.

თავისი კლუბის შემადგენლობაში, სადაც 1971 წლამდე თამაშობდა და 326 მატჩი ჩაატარა, ლევ იაშინი ხუთჯერ დაჯილდოვდა ქვეყნის ჩემპიონის ოქროს medlით და სამჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი. გარდა ამისა, როგორც ეროვნული ნაკრების მეკარე, 1956 წელს იგი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ხოლო 1960 წელს — ევროპის თასის მფლობელი. 1964 წელს იაშინმა მონაწილეობა მიიღო ამავე თასის გათამაშების ფინალურ მატჩში, 1966 წელს კი VIII მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც საბჭოთა ნაკრებმა მეოთხე ადგილი დაიკავა, თანაგუნდელებთან ერთად ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა. თუმცა, იაშინის მიერ მოპოვებული ყველა ჯილდოს აქ ჩამოთვლა ძალიან დიდ ადგილს დაიკავებდა.

იაშინის ფენომენი ფეხბურთის ისტორიაში სამუდამოდ დარჩება, რადგან იგი მართლაც მოვლენა იყო. ლევ იაშინი იმ ფეხბურთელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც საგრძნობლად გაამდიდრეს ეს პოპულარული თამაში. თუმცა სარბიელიდან თითოეული მათგანის წასვლის შემდეგ ფეხბურთი ამავე დროს რაღაც აუნაზღაურებელსაც კარგავდა...

დრო ყველას მიმართ ერთნაირად ულმობელია. იგი თავისას მოითხოვს. და, აი, ერთ დღეს, 1971 წლის 27 მაისს, გენიალურმა მეკარემ ლევ იაშინმაც უკანასკნელად დაიკავა თავისი ადგილი საფეხბურთო კარში. იმ დღეს ვალმოხდილი ვეტერანის გამოსათხოვარ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „დინამოს“ საკავშირო ნაკრები და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის „ვარსკვლავთაგან“ დაკომპლექტებული გუნდი. იაშინის გასაცილებლად მოსკოვში ჩამოვიდნენ ინგლისელი ბობი ჩარლტონი და პოლონელი ვლოძიმეჟ ლიუბანსკი, იტალიელი ჯაჩინტო ფაკეტი და ურუგვაელი ლადისლაო მაზურკევიჩი, დასავლეთგერმანელი გერდ მიულერი, იუგოსლავიელი დრაგან ჯაიჩი, ჩეხოსლოვაკიელი ივო ვიქტორი და სხვები. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2, მაგრამ მსოფლიოს საუკეთესო მეკარე ისე წავიდა დიდი ფეხბურთიდან, ბოლო მატჩში საკუთარ კარში ბურთი არ გაუშვია: მატჩის 50-ე წუთზე, როცა ანგარიში იყო 2:0 მასპინძელთა სასარგებლოდ, შეხვედრის არბიტრმა ტოფიკ ბახრამოვმა თამაში შეაჩერა. ლევ იაშინი წავიდა... ლეგენდა დარჩა!

1981 წელს ფეხბურთის მეფეს — ბრაზილიელ ედსონ არანტეს დო ნასიმენტოს ანუ პელეს მეოცე საუკუნის საუკეთესო სპორტსმენისთვის დაწესებული საგანგებო პრიზი გადასცეს. დაჯილდოების ცერემონიალზე პელეს ჰკითხეს, ვინ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება იმ ფეხბურთელებიდან, ვისაც უშუალოდ შეხვედრიხართ მწვანე მინდორზეო. თანამედროვეობის უდიდესმა სპორტსმენმა დაუფიქრებლად დასახელა ლევ იაშინი!

ზურაბ ზოცხვერია.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380098
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეკანეებისთვის — თბილისი, „ლელი“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„ბარიერი“ — 93-97-37, „ბერაბი“ — 93-97-56.

ჩვენი ინდექსი:
60125

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ობიექტები ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიმშიაშვილის, 28.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე